# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 116. ხუთშაბათი, 8 მაისი 1903 წ. გაზეთის № 2145.

### შაბურას წუხილი.

—

რადა მოსავალს ველოდე,
თუ წახდა დანათესარი;
ცოლშვილი ისე მირჩება,
სახლში შიმშილით მკვნესარი.

**

შემოდგომისას დავთესე
ქერწრელი ნასესხარია,
მისსა მოხვნაზედ ჩავწყვიტე,
ჩემი უღელი ხარია.

**

მის მეტი მიწა არ მქონდა,
არც მთაში, არცა ბარათა,
ჯაფით ნათესი ნაფარცხი
ვტოვე ღვთის ანაბარათა.

**

ვიფიქრე, გაზაფხულისას
ჯეჯილსა ვნახავ თვალითა
და გავახარებ ცოლშვილსა
უფლისა მოსავლითა.

**

მაგრამ რა ვუთხრა ზამთარსა,
არ მომეკიდა მოყვრათა
და შემოდგომის ნაშრომი
სულ გამიტარა ოხრათა.

**

გაზაფხულისას გამდნარი
თოვლი წყლათ ქცვნა მდინარეს,
მდინარეც ასცდა კალაპოტს,
მოედო სოფელს მქინარეს.

**

ზოგს სახლში შემოუვარდა,
ზოგს დაუნგრია ბუხარი,
ბევრი დაარჩო, წაიღო,
დასტოვა ბევრიც მწუხარი.

**

კარს შემომერტყა, მომედო
სამალო არა იყორა,
დამტოვა ცხოვრებიდანა,
ქვით კარი ამომიყორა.

**

ეს არ იკმარა მდინარემ:
მინდვრადაც იდო წილია,
ჯებირი გამოანგრია,
წაიღო დათესილია.

**

მარცვალი ფესოს აშორა,
უამირი მიწა აღახა,
ზედ გადეფარა სუდარათ,
დალამა, გადატალახა.

**

რადა მოსავალს ველოდე
თუ წახდა დანათესარი,—
ამასა ვფიქრობ ბედშავი
ჩემი წუხილიც ეს არი.

ა. სავანდისხეველი.

---

# ჭალები

მ. ჩეხოვისა.

ფორტოპიანოს მომწყობი მურკინი, წვერ მოპარსული გაყვითლებულის სახით, თამბაქოიანის ცხვირითა და ყურებში ბამბა გაკეთებული, თავის სადგომ ოთახიდან დერეფანში გამოვიდა და დანქლრეულის ხმით დაიძახა:

— სიმონ, სიმონ!

იმის შეშინებულ სახისთვის რომ ადამიანს შეეხედნა, იფიქრებდა, თავზე ან სახლის შენობა დაჰქცევია, ან ეს არის ეხლა ოთახში რამე მოჰლანდებიაო.

სიმონა მურკინის ოთახში შევიდა, გადაჰხედა ნაცნობ ადგილს, სადაც ჩვეულებრივ გაწმენდილ წაღებს აწყობდა ხოლმე, და კისერი მოიქექა: წაღები იქ არ დაჰხვდა.

— ის წყეული, სად უნდა იყოს?—წარმოსთქვა სიმონამ.— საღამოთი, თითქოს, გავწმინდე და, აი, აქ დავაწყე... ჰმ! გუშინ, თუმცა, გადაკრულში ვიყავ... შესაძლებელია, სხვა ოთახში შევიტანე... უეჭველად ასე უნდა იყოს, აფანასი ეგორიჩ, სხვა ოთახში! იმდენი წაღებია, რომ, აბა, რა ეშმაკი გაარჩევს სიმთვრალის დროს, როდესაც თავისი თავიც კი არ ახსოვს ადამიანს... უსათუოდ ქალბატონს დაუწყობდი, რომელიც გვერდზე ოთახში სცხოვრობს... თეატრში მოთამაშე ქალს...

— შენის გულისთვის ეხლა უნდა ქალბატონთან წავიდე შესაწუხებლად! ინებე და ამ უბრალო საქმისათვის პატიოსანი ქალი გამოაღვიძე!

ხველით და ქშენით მურკინი მეზობელ ოთახის კარს მიუახლოვდა და კარი ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის?—მოისმა ქალის ხმა.



ნერლის შეველიცინის მეუღლესთან. ფეხშიშველა არ შემიძლიან წასვლა!

— მერე, რა გნებავთ? რა როიალი?

— როიალი კი არა, ქალბატონო, წაღების შესახებ მოგახსენებთ: ბრიყვმა სიმონამ წაღები გამიწმინდა და შეცდომით თქვენს ოთახში დააწყო. კეთილ ინებეთ, ქალბატონო, და მომეცით ჩემი წაღები!

მოისმა შარა-შური, კრაოტიდან გადმოხტომა და ფლოსტებში ფეხის ჩადგმა, შემდეგ კარები ოდნავ გაიღო და ფუნჩულა ქალმა ფეხებთან გადმოუყარა მურკინს წაღები. მურკინმა მადლობა უძღვნა და თავის ოთახისკენ გასწია.

— საკვირველია...— წაიბუტბუტა იმან, წაღების ჩაცმის დროს. - ეს თითქო მარჯვენა ფეხისა არ არის, აქ ხომ ორივ მარცხენა ფეხისაა! ორივე მარცხენასია! ყური დამიგდე, სიმონ, ჩემი წაღები არ არის! ჩემ წაღებს წითელი ყურები ჰქონდა და არც დაკერებული იყო, ესენი კი დაგლეჯილია და უყუროც!

სიმონამ წაღები აიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა რამდენჯერმე და მოილუშა.

— ეს წაღები პაველ ალექსანდრიჩისაა...—წაიბუტბუტა და თანაც გვერდზე გაჰხედა—მარცხენა თვალით ელამი იყო.

— რომელ პაველ ალექსანდრიჩისა?

— არტისტისა... ყოველ სამშაბათობით აქ დაიარება... ეტყობა, თავის წაღების
რად თქვენი ჩაუცვამს... მე კი ქალ-
ნის ოთახში დამიწყვია ორივე წყვ-
თქვენიც და იმისიც... საკვირველია!
შენვე წადი და გამოაცვლევინე!

— მადლობელი გახლავართ! ეხლ
უნდა ვიპოვნო? ერთი საათია რაც
და.. წადი და ეძებე ქარი მინდორ
.

— სადა სცხოვრობს?

— ვინ იცის, სადა! აქ ხოლოდ სამ-
ობით მოდის და ბინა სადა აქვს, ე
ა ვიცი!

— აბა, ჰხედავ ეხლა, ლორო, რა ჰქ-
ეხლა რაღა მეშველება! გენერლის
ითან წასვლის დროა, შე დაწყევლი-
ფეხები სულ გამეყინა!

— წაღების გამოცვლა დიდხანს არ
ანს. საღამომდის ჩაიცვით ესენი, სა-
აზე თეატრში შეიარეთ... იქ არტის
ტანოვს იკითხავთ... თუ თეატრში
ლა არა გსურთ, მეორე სამშაბათამ-
მოგიხდებათ ცდა: მხოლოდ სამშაბა-
ით მოდის ხოლმე...

— რა მიზეზია, რომ ორივ მარცხენა
საა?—შეეკითხა იგი და თანაც ხელში
ით ატრიალებდა წაღებს.

— რაც ღმერთმა მისცა, იმას ატარებს!
ად სიღარიბით... არტისტს ვინ მისცა
? ეგეც წაღებია, ვუთხარი ერთხელ,
ლ ალექსანდრიჩ! სწორედ თავის მო-
ელია! იმან კი მიპასუხა: „გაჩუმდი,
კარგე! სწორედ ამ წაღებში ბევრ-
გრაფისა და თავადის როლი მითა-
ხალხია! ერთის სიტყვით, არტისტია
რომ ეიყო, ან სხვა რამ უფროსად, არ-
ა კუნძულზე უკრავდი თავს...

და ტანჯვის შემდეგ, როგორც იყო,
და კოჰლოობით გენერალ შეველი-
ა. ქალაქში მთელი დღე იარა, ფორ-

# საიმპერატორო თეატრის არტისტები საგასტროლოდ ტფილისში



ილინსკი



იუჟინი
(თ. სუმბათაშვილი)



ლეშკოვსკაია



რიბაკოვი



პრავდინი

ტოპიანო მოაწყო და ეს დღე ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველა მხოლოდ იმის დაკერებულ და ქუსლებ მოღრეცილ წაღებს უცქეროდა! სულიერ ქეჯნის გარდა ხორციელადაც იგრძნო ტანჯვა: წაღებმა ფეხზე კორძი გაუჩინა.

სალამოთი თეატრში შევიდა. არდგენდნენ ოპერეტს—„ლურჯი წვერი“. მხოლოდ უკანასკნელ აქტზე, ისიც ნაცნობ ფლეიტის დამკვრელის დახმარებით, კულისებში შეუშვეს. როდესაც კაცების ტანთჩასაცმელ ოთახში შევიდა, ყველა მოთამაშე იქა ჰნახა. ზოგი ტანისამოსს იცვლიდა, ზოგი სახეზე ფერად წამლებს ისვამდა, ზოგიც პაპიროსსა სწევდა. ლურჯი წვერი მეფე ბობეშთან იდგა და რევოლვერს აჩვენებდა.

— არ იყიდი?—ეუბნებოდა ლურჯი წვერი.—მე თვითონ კურსკში ვიყიდე შემთხვევით რვა მანეთად, შენკი ექვს მანეთად მოგცემ... ძალიან კარგად ისვრის!

— ბატონი ბლისტანოვის ნახვა შეიძლება?—იკითხა მურკინმა შესვლის დროს

— მე თვითონ გახლავართ!—მოუტრიალდა ლურჯი წვერი.—რა გნებავთ?

— უკაცრავად, ბატონო, შეწუხებისათვის,—დაიწყო ვედრების კილოთი მომწყობმა.—მერწმუნეთ... ავადმყოფი ვარ, ქარებიანი... ექიმებმა მირჩიეს, რომ ფეხები თბილად ვიქონიო...

— მერე, რა გნებავთ?

— იცით რა...—გააგრძელა, როდესაც ლურჯ წვერს მიჰმართა.—დიახ... წუხელის თქვენ ღამის გატარება ინებეთ ვაჭარ ბუხტაევის სასტუმროში... მე-64 ნომერში...

— აბა, რად სტყუით!—გაიცინა მეფე ბობეშმა.— მე-64 ნომერში ჩემი მეუღლე სცხოვრობს!

— მეუღლე? დიდად სასიამოვნოა...—გაიღიმა მურკინმა.—სწორედ თქვენმა მეუღლემ მომცა ამათი წაღები... როდესაც ესენი—-მიუთითა ბლისტანოვზე—იმათგან წამოვიდნენ და ჩემი წაღები მოვიკითხე... უყვირე, იცით, მედერეფნეს, ის-კი მეუბნებოდა: მე, ბატონო, თქვენი წაღები მეზობელ ოთახში დავაწყეო!“ შეცდომით, სიმთვრალის დროს, მე-64 ნომერში დაეწყო ჩემი და თქვენი წაღები—მიუტრიალდა მურკინი ბლისტანოვს—და თქვენ, როდესაც ამათ მეუღლისგან წამოხვედით, ჩემი წაღები ჩაგეცვათ...

— თქვენ რაებს ლაპარაკობთ?—შესძახა ბლისტანოვმა და მოიღუშა.—განა, აქ ცილის საწამებლად მოხვედით?

— სრულიადაც არა, ღმერთმა დამიფაროს! ვერ მიმიხვდით... იცით რისთვის მოვედი? წაღებისთვის! თქვენ ხომ მე-64 ნომერში ინებეთ ღამის გატარება?

— როდის?

— წუხელის.

— თქვენა მნახეთ?

— არა, არ მინახვიხართ!—უპასუხა მურკინმა აღელვებულმა და თან წაღებს დაუწყო ხდა.—მე არ მინახვიხართ, მაგრამ თქვენი წაღები ამათმა მეუღლემ გადმომიყარა... ჩემის წაღების მაგივრად.

— თქვენ რა ნება გაქვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მაგრე დაბეჯითებით ლაპარაკობთ? ჩემზე რომ არა ვსთქვარა, თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ ქალს და ისიც მეუღლის წინაშე!..

კულისების იქით რაღაცა ჩოჩქოლი ასტყდა, მეფე ბობეში, შეურაცხყოფილი მეუღლე, უცბად აღელდა და, გამწარებული, სტოლს ისე ძრიელ დაჰკრა მუშტი, რომ მეზობელ ქალების ტანთჩასაცმელ ოთახში შიშისაგან ორ ქალს გული წაუვიდა.

— შენცა გჯერა? - ეუბნებოდა ლურჯი წვერი.—განა უნდა დაუჯერო რამ ამისთანა მაწანწალას? ოჰ, გინდა მოვკლა ეხლავ როგორც ძაღლი? გინდა, ბივშტეკს გავაკეთებ ამისაგან, თავს გაუპობ?

იმ საღამოს მოსეირნე ხალხი საზაფხულო თეატრის მახლობლად, ბაღში ერთმანეთს უამბობდა, თუ მეოთხე აქტის დროს პირველ ხეივანში როგორ გარბოდა ფეხშიშველა კაცი გაყვითლებულისა და შეშინებულის სახით, რომელსაც რევოლვერით მისდევდა ვიღაც კაცი, ოპერეტის გმირის ლურჯის წვერის ტანისამოსში გამოწყობილი. რითი გათავდა ეს საქმე,—აღარავის უნახავს, მხოლოდ ის-კი ვიცით, რომ ბლისტანოვის გაცნობის შემდეგ მურკინი ორი კვირა ავად იყო და ყოველთვის, როდესაც იტყოდა: „ავადმყოფი ვარ, ქარებიანი“ო, უსათუოდ დაუმატებდა ხოლმე—„დაჭრილიც ვარო“...

ალ. საათაშვილი.

# თანამედროვე ტეხნიკა

## წყალზე ფეხით სიარული

ავსტრიელ კაპიტანს, გროსმანს ერთ-გვარი თხილამურა-წრიპა (лыжа) გამოუგონია, რომლითაც სულ ადვილად შეიძლება თურმე წყალზე სიარული. ამას წინად კაპიტანს თავის თხილამურათი მდინარე დუნაიზე კარგა დიდი მანძილი გაუვლია; თან ხელით პატარა ნავსაც მიათრევდა თურმე, რომელშიაც იმისი ცოლი მჯდარა. ყველგან, სადაც-კი ამ კაცს გაუვლია, ხალხი გაოცებულა. გლეხებს სასწაულთ-მოქმედად მიუჩნევიათ.

## უზარმაზარი სასტუმრო

მოსკოვში, სახლის პატრონთა საზოგადოების ახლად აშენებულს სახლში, წრეულს პირველს იანვარს გაისხნა უზარმაზარი სასტუმრო, სახელად „ნაციონალური“. სახლი, სადაც ეს სასტუმრო მოთავსებული, აშენებულია ხუროთ-მოძღვრის, აკადემიკოსის ა. ვ. ივანოვის მიერ შედგენილს გეგმაზედ. სახლი ექვს სართულიანია და დამჯდარა ორ მილიონ მანეთად. სასტუმროში დიდრონ დარბაზების, საკუჭნაოების, სამზარეულოების, მოსამსახურეთა სადგომების და სხვა მრავალნაირ მოწყობილების გარდა, ორასამდე სასტუმრო ოთახიცაა, ზემო სართულებში ასასვლელ - ჩამოსასვლელად მექანიკური მანქანებია გამართული, ყველგან ელექტრონის სინათლეა, ერთის სიტყვით, რაც კი თანამედროვე ტეხნიკას შეეხება, არც ერთი მხარე არაა დავიწყებული.

მარტო ავეჯეულობა და ოთახების მორთულობა დამჯდარა 30,000 მანეთი.

## სურათები გამოფენაზე ტფილისში.



— თქვენ რატომ არ იღებთ მონაწილეობას მხატვრების გამოფენაში.

— მე მხატვარი არა ვარ.




— ეს ,დახატული ვირები 200 მანეთი!? 200 მანეთად ათ ცოცხალ ვირს ვიყიდი...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.